დების მონაწილეობა ისრაელის შეკრებაში

პრეზიდენტ რასელ მ. ნელსონის მიერ

მოგიწოდებთ თქვენ, ეკლესიის ქალებო, წინასწარმეტყველური ვედრებით, შექმნათ უკეთესი მომავალი გაფანტული ისრაელის შეკრებაში დახმარების გაწევით.

ᲛᲔსანიშნავია თქვენთან ყოფნა, ჩემო ძვირფასო დებო. შეიძლება ის, რაც მემემთხვა ბოლო წანებში, შეგიქმნით წარმოდგენას იმაზე, რას ვგრძნობ თქვენ მიმართ და იმ უზენაეს საშუალებებზე, რომლებითაც შემოსილნი ხართ.

ერთხელ, როცა ვესაუბრებოდი მრევლს სამხრეთ ამერიკაში, ძალიან გავერთე და მნიშვნელოვან მომენტში ვთქვი: „მე, როგორც 10 მვილის *დედას*, შემიძლია გითხრათ, რომ . . .“. და შემდეგ გავაგრძელე აზრი.

მე ვერ გავიაზრე, რომ ვთქვი *დედა*. ჩემმა თარჯიმანმა იფიქრა, რომ შემეშალა და შეცვალა სიტყვა *დედა* სიტყვაზე *მამა*, ასე რომ მრევლი ვერც კი მიხვდა, რომ მე საკუთარ თავს ვუწოდე *დედა*. მაგრამ ჩემმა მეუღლემ, ვენდიმ, გაიგონა ეს და ძალიან კმაყოფილი დარჩა ჩემი ფრეიდული შეცდომის გამო.

იმ მომენტში გულიდან ამოხეთქა ღრმად დამალულმა წადილმა - მოვახდინო მხოლოდ დედებისთვის შესაძლებელი ცვლილება სამყაროში. წლების განმავლობაში, როცა კი არ მეკითხებოდნენ, რატომ *ვარჩიე*, გავმხდარიყავი ექიმი, ჩემი პასუხი უცვლელი იყო: „რადგან არ შემეძლო, *ამერჩია* დედობა“.

გთხოვთ, შენიშნოთ, რომ ნებისმიერ დროს, როცა ვამბობ სიტყვას *დედა,* არ ვგულისხმობ მხოლოდ ქალებს, რომლებმაც გააჩინეს ან იშვილეს ბავშვები. მე ვსაუბრობ ზეციური მშობლების *ყველა* ზრდასრული ასულის შესახებ. *ყოველი* ქალი არის დედა თავისი ღვთაებრივი მარადიული ღირსების გამო.

ასე რომ, დღეს საღამოს მე, როგორც 10 შვილის *მამა -ცხრა ქალიშვილისა* და ერთი ვაჟის, და როგორც ეკლესიის პრეზიდენტი, ვლოცულობ, რათა იგრძნოთ, რაოდენ ღრმა გრძნობები მაქვს თქვენ მიმართ - იმასთან მიმართებაში, რანი ხართ და რამდენი სიკეთის კეთება შეგიძლიათ. ვერავინ ვერ გააკეთებს იმას, რაც მართალ ქალს შეუძლია. ვერავინ ვერ გაიმეორებს დედის გავლენას.

მამაკაცებს შეუძლიათ და ხშირადაც გამოხატავენ მამაზეციერისა და მხსნელის სიყვარულს სხვების მიმართ. მაგრამ ქალებს აქვთ ამისთვის განსაკუთრებული ძღვენი - ღვთიური შემოსვა. თქვენ გაქვთ უნარი, იგრძნოთ ვიღაცის საჭიროება და ის, *როდის* არის ამის საჭიროება. თქვენ შეგიძლიათ მიწვდეთ, ანუგეშოთ, ასწავლოთ და გააძლიეროთ ვინმე მისთვის კრიტიკულ მომენტში.

ქალებს კაცებისგან განსხვავებული ხედვა აქვთ და ჩვენ ეს ხედვა ძალიან გვჭირდება! თქვენი ბუნების თანახმად თქვენ *ჯერ* სხვებზე ფიქრობთ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რა შედეგი მოაქვს ნებისმიერ ქმედებების შედეგს სხვებზე.

როგორც პრეზიდენტმა აირინგმა მიგვითითა, ეს იყო ჩვენი დიდებული დედა ევა მამაზეციერის გეგმის შორს მჭვრეტველობით, რომელმაც დაუდო საფუძველი იმას, რასაც ვუწოდებთ „დაცემას“. მისმა ბრძნულმა და მამაცურმა არჩევანმა, ასევე ადამის მხარდაჭერამ წინ წაწია ღმერთის ბედნიერების გეგმა. მათ შესაძლებელი გახადეს ყოველი ჩვენგანისთვის დედამიწაზე დაბადება, სხეულის მიღება და დამტკიცება, რომ *ახლაც,* ისევე, როგორც წინამიწიერ ცხოვრებამდე, გავაკეთებდით არჩევანს და ავირჩევდით ქრისტეს.

ჩემო ძვირფასო დებო, თქვენ გაქვთ განსაკუთრებული სულიერი ძღვენი და მიდრეკილებები. დღეს მინდა შეგაგულიანოთ და მთელი გულით ვიმედოვნებ, რომ ილოცებთ, რათა შეიტყოთ *თქვენი სულიერი ძღვენი,* განავითაროთ იგი, გამოიყენოთ და გაზარდოთ იგი. და როცა ასე მოიქცევით, თქვენ სამყაროს შეცვლით.

თქვენ, როგორც ქალები, მთააგონებთ სხვებს და ადგენთ მისაბაძ სტანდარტს. ნება მიბოძეთ, გაგახსენოთ ორი ძირითადი განცხადება, რომელიც გაკეთდა ბოლო გენერალურ კონფერენციაზე. თქვენ, ძვირფასო დებო, ორივე გეხებათ.

პირველი:; მხრუნველობა. მხრუნველობის უმაღლესი სტანდარტია ჩვენი მხსნელი, იესო ქრისტე. როგორც წესი, ქალები ყოველთვის იყვნენ და არიან ამ სტანდარტთან მამაკაცებზე უფრო ახლოს. ჭეშმარიტი მხრუნველობის დროს თქვენ მიჰყვებით გრძნობებს და გსურთ, სხვებმაც იგრძნონ მხსნელის უფრო მეტი სიყვარული. მართალ ქალებში მხრუნველობის მოთხოვნილება ბუნებრივი მოვლენაა. ვიცნობ ქალებს, რომლებიც ყოველ დღე ლოცულობენ: „ვის გსურს, რომ დავეხმარო დღეს“?

სანამ 2018 წ. აპრილში გამოცხადდებოდა სხვებისთვის უფრო წმინდა და ამაღლებული ხერხით ხრუნვა, ზოგიერთ მამაკაცს ჩამოუყალიბდა ტენდენცია, აღნიშნონ შინა მასწავლებლის დავალება როგორც „შესრულებული“ და გადავიდნენ შემდეგ საქმეზე.

მაგრამ როცა *თქვენ* გრძნობდით, რომ თქვენ დას, რომელსაც სტუმრობთ, დახმარება სჭირდებოდა, თქვენ მამინვე პასუხობდით ამ საჭიროებას და შემდეგ მთელი თვის განმავლობაში. ასე რომ, ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, *როგორ* ასწავლიდით, რამაც მთაგვაგონა, გადავსულიყავით მხრუნველობაზე.

მეორე: ბოლო გენერალურ კონფერენციაზე ჩვენ ასევე ახლად განვასწავლეთ მელქიცედეკის მღვდლობის ქვორუმები. როცა ვცდილობდით, გაგვეგო, როგორ დავეხმაროთ მამაკაცებს ეკლესიაში, იყვნენ უფრო ეფექტურები თავიანთ ვალდებულებებში, ჩვენ გულდასმით განვიხილეთ მოწყალების საზოგადოების როლი.

მოწყალების საზოგადოებაში ერთად იკრიბებიან სხვადასხვა ასაკსა და მდგომარეობაში მყოფი ქალები. ცხოვრების ყოველ დეკადას მოაქვს თავისი უნიკალური სირთულეები მაგრამ *თქვენ* მაინც ყოველ კვირას ერთად იკრიბებოდით, იზრდებოდით, ასწავლიდით სახარებას და ცვლიდით სამყაროს.

ახლა, თქვენი მაგალითის გამოყენებით, მელქიცედეკის მატარებლები არიან უხუცესთა ქვორუმის წევრები. ეს არიან 18-98 წლის (ზოგჯერ უფრო უფროსი ასაკიც) მამაკაცები, თანაბარი ფართო მასშტაბის სამღვდელოებისა და ეკლესიური გამოცდილების მქონე ადამიანები. ამ მამაკაცებს ახლა შეუძლიათ უფრო ძლიერი მმური კავშირების დამყარება, ერთად სწავლა და სხვების ცხოვრების უფრო ეფექტურად დალოცვა.

თქვენ გახსოვთ, რომ გასულ წელს, ივნისში, მე და ნელსონმა მივმართეთ ეკლესიის ახალგაზრდობას. ჩვენ მოვიწვიეთ ისინი, ჩაეწერონ უფლის ახალგაზრდების ბატალიონში, რათა დაეხმარონ საბურველის ორივე მხარეს ისრაელის შეკრებაში. ეს შეკრება არის "*უდიდესი* სირთულე, *უდიდესი* მიზეზი და *უდიდესი* სამუშაო დღეს დედამიწაზე"![1]

ამ საქმეში აუცილებელია ქალები, რადგან ისინი ქმნიან მომავალს. დღეს მოგიწოდებთ თქვენ, ეკლესიის ქალებო, წინასწარმეტყველური ვედრებით, შექმნათ უკეთესი მომავალი გაფანტული ისრაელის შეკრებაში დახმარების გაწევით.

საიდან დაიწყოთ?

გთავაზობთ ოთხ მიმართლებას:

პირველი: გიწვევთ, მიიღთ მონაწილეობა 10 დღიან მარხვაში სოციალურ მედიისგან და ნებისმიერი სხვა მედიისგან, რომელიც ბადებს ნეგატიურ და არაწმინდა აზრებს თქვენს თავში. ილოცეთ იმისათვის, რათა გაიგოთ, რა ზემოქმედება მოიცილოთ მარხვის დროს. თქვენი 10 დღიანი მარხვის ეფექტი გაგაკვირვებთ. რას შეამჩნევთ მას შემდეგ, რაც შეისვენებთ ამასოფლის გავლენისგან, რომელიც აზიანებდა თქვენს სულს? *ახლა* ამ ცვლილებასთან დაკავშირებით გაგიჩნდათ მეტი დრო და ენერგია. რას გინდათ, დააზარჯოთ იგი? შეიცვალა თქვენი რომელიმე პრიორიტეტები. ცოტათი მაინც? მოგიწოდებთ, ჩაიწეროთ ყოველი შთაბეჭდილება და შემდეგ იმოქმედოთ მის მიზედვით.

მეორე: მოგიწოდებთ, წლის ბოლომდე წაიკითხოთ მორმონის წიგნი. როგორი შეუძლებელიც არ უნდა გეგონოთ ეს დავალება, რადგან იმდენი რამ უნდა მოასწროთ დღის განმავლობაში, თუ გულის სრული წადილით მიიღებთ ამ დავალებას, უფალი დაგეხმარებათ და გაპოვნინეთ საამისო გზას. და როცა ლოცვით შეისწავლით მას, მე გპირდებით, რომ ზეცა გაიხსნება თქვენთვის. უფალი დაგლოცავთ გაღრმავებული შთაგონებითა და გამოცხადებით.

კითხვის დროს მონიშნეთ ყოველი მუხლი, სადაც ნახსენები უფალი. შემდეგ, იქონიეთ სურვილი, ისაუბროთ ქრისტეს შესახებ, იხაროთ ქრისტეში და იქადაგოთ ქრისტეზე ოჯახებში და მეგობრებთან.[2] ამ პროცესში თქვენც და ისინიც უფრო ახლოს მიხვალთ ქრისტესთან. და დაიწყება ცვლილებები, საოცრებიც კი.

ამ დილით გაკეთდა განცხადება ახალი საკვირაო განრიგის შესახებ და ეკლესიის მიერ მოწონებული ოჯახებზე ორიენტირებულ პროგრამაზე. თქვენ, ჩემო ძვირფასო დებო, ხართ ამ ახალი, დაბალანსებული, კოორდინირებული სახარების სწავლების მცდელობისა. გთხოვთ, ასწავლეთ საყვარელ ადამიანებს ის, რასაც სწავლობთ წმინდა წერილიდან. ასწავლეთ მათ, როგორ მიმართონ მხსნელს განკურნებისა და განწმენდის ძალის მისაღებად, როცა ისინი შეცოდავენ. და ასწავლეთ მათ, როგორ დაეყრდნოთ მის ძალას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მესამე: შეიმუშავეთ ტაძარში სიარულის რეგულარული ცხრილი. ეს ალბათ დამატებით მსხვერპლს მოითხოვს თქვენგან. ტაძარში გატარებული დამატებითი დრო მისცემს უფალს იმის საშუალებას, გასწავლოთ, როგორ დაეყრდნოთ მის მღვდლობის ძალას, რომლითაც თქვენ შეიმოსეთ მის ტაძარში. მათ, ვინც ტაძრიდან შორს ცხოვრობს, ვიწვევ, ლოცვით შეისწავლონ ის, რას წერია ტაძრების შესახებ წმინდა წერილებში და ცოცხალი წინასწარმეტყველების სიტყვებში. ეძიეთ, *შეიტყოთ* მეტი, *გაიგოთ* მეტი, *იგრძნოთ* მეტი ტაძრების შესახებ.

გასულ ივნისს ახალგაზრდებისთვის მიძღვნილ პროგრამაში მე ვისაუბრე ახალგაზრდა მამაკაცის შესახებ, რომლის ცხოვრება შეიცვალა, როცა მმობლებმა სმარტფონი ჩვეულებრივ ტელეფონზე შეუცვალეს. ამ ახალგაზრდა ბიჭის დედა უშიშარი რწმენის ქალია. მან დაინახა, რომ შვილი ისეთ არჩევნებისკენ იხრება, რომლებიც მას მისიაში მსახურებაში ხელს შეუშლიდა. დედამ თავისი ვედრება ტაძარში მიიტანა, რათა გაეგო შვილის დახმარების საუკეთესო გზა. შემდეგ იგი ყოველ შთაბეჭდილებას მიჰყვა.

მან თქვა: „სულიწმინდის კარნახი ვიგრძენი და ვიცოდი, რომ შვილის ტელეფონი გარკვეულ დროს გარკვეული რაღაცეების გამო უნდა შემემოწმებინა. არ ვიცი სმარტფონების ხმარება, მაგრამ სულიწმინდა გამიძღვა ისეთი რამეების კეთებაში, რომლებიც არასდროს არც მინახავს. მე ვიცი, რომ სულიწმინდა ეხმარება მმობლებს, რომელბიც ეძიებენ მითითებებს იმის შესახებ, როგორ დაიცვან თავიანთი შვილები. [თავიდან] შვილი ძალაინ გამიბრაზდა. . . . მაგრამ სულ სამი დღის შემდეგ იგი მადლობას მიხდიდა! მან იგრძნო განსხვავება".

მისი ვაჟის საქციელი და განწყობა კრიტიკულად შეიცვალა. იგი უფრო მეტს ეხმარებოდა სახლში, მეტს იღიმებოდა და ეკლესიაში უფრო ყურადღებიანი იყო. მას ძალიან მოეწონა ტაძარში მსახურება ნათლობასთან დაკავშირებულ საკითხებში და მისიისთვის მომზადება.

მეოთხე: ვისაც ეს ასაკით შეგეფერებათ, სრულად მიიღეთ მონაწილეობა მოწყალების საზოგადოებაში.

მოგიწოდებთ, შეისწავლოთ მოწყალების საზოგადოების მიზნის ამჟამინდელი მტკიცებულება. იგი შთამაგონებელია. შესაძლებელია, ეს გახდეს თქვენი პირადი მიზნის განვითარების გზამკვლევი. ასევე მოგიწოდებთ, იპოვოთ დაახლოებით 20 წლის წინ გამოქვეყნებული მოწყალების საზოგადოების დეკლარაციაში მოცემული შემმარიტებანი.[3] ამ დეკლარაციის ასლი ჩარჩოში კიდია პირველი პრეზიდენტობის ოფისის კედელზე. *ყოველთვის* ვღლავ, როცა ვკითხულობ მას. იქ აწსნილია, ვინ ხართ და რა სურს უფალს, რომ იყოთ *ზუსტად* ამ დროში, როცა ცდილობთ, შეასრულოთ *თქვენი* როლი გაფანტული ისრაელის შეკრებაში.

ჩემო ძვირფასო დებო, *გვჭირდებით!* ჩვენ გვჭირდება *თქვენი* ძალა, *თქვენი* მოქცევა, *თქვენი* დაჯერებულება, *თქვენი* ხელმძღვანელობის უნარი, *თქვენი* სიბრძნე და *თქვენი* ხმები."[4] ჩვენ უბრალოდ ვერ შევკრებთ უთქვენოდ ისრაელს.

მიყვარხართ, მადლობას გიხდით და გლოცავთ უნარით, უკან მოიტოვოთ ამასოფელი, როცა გვეხმარებით ამ მნიშვენლოვან, სასწრაფო საქმეს. ჩვენ ერთად შეგვიძლია გავაკეთოთ ყველაფერი, რაც მამაზეციერს სურს, რათ მოვამზადოთ სამყარო მისი საყვარელი ძის მეორე მოსვლისთვის.

იესო არის ქრისტე. ეს მისი ეკლესიაა. მე ამაზე ვმოწმობ იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

მენიშვნები

1. Russell M. Nelson, "Hope of Israel" (worldwide youth devotional, June 3, 2018), HopeofIsrael.lds.org. hopeofisrael.lds.org.
2. იხ. 2 ნეფი 25:26.
3. For the Relief Society declaration, see Mary Ellen Smoot, "Rejoice, Daughters of Zion," *Liahona,* Jan. 2000, 111–14.
4. Russell M. Nelson, "A Plea to My Sisters," *Liahona,* Nov. 2015, 96; emphasis added.

ეკლესიის სწორი სახელწოდება

პრეზიდენტ რასელ მ. ნელსონის მიერ

იესო ქრისტემ მიგვითითა, გვეწოდებინა ეკლესიისთვის მისი სახელი, რადგან ეს მისი ეკლესიაა, მისი ძალით სავსე.

ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, ამ მშვენიერ შაბათის დღეს ჩვენ ერთად ვხარობთ უფლის მრავალ კურთხევაში. ჩვენ მადლიერნი ვართ იესო ქრისტეს აღდგენილი სახარების თქვენი დამოწმებებისათვის, იმ მსხვერპლისთვის, რომელიც თქვენ გაიღეთ, რათა დარჩენილიყავით ან დაბრუნებულიყავით მის აღთქმის გზაზე და თქვენი თავდადებული მსახურებისთვის მის ეკლესიაში.

დღეს მე იძულებული ვარ, განვიხილო დიდად მნიშვნელოვანი საკითხი. რამდენიმე კვირის წინ მე განვაცხადე შესწორების შესახებ, რომელიც უნდა შეტანილ იქნას ეკლესიის სახელწოდებაში.[1] მე ეს გავაკეთე, რადგან უფალმა მაცნობა გონებაში იმ სახელწოდების მნიშვნელობა, რომელიც მან უბოძა თავის ეკლესიას, „უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიას.[2]

როგორც ამას მოელოდებოდით, ამ განცხადებას და სტილის მიმანიშნებელს სხვადასხვაგვარი გამოხმაურება მოჰყვა[3]. მრავალმა წევრმა იმწუთასვე ჩაასწორა ეკლესიის სახელწოდება თავიანთ ბლოგებში და სოციალურ მედია გვერდებზე. სხვებს უკვირდათ, რა საჭირო იყო აქცენტირება ამგვარ „უმნიშვნელო“ რამეზე, როცა მსოფლიოში ასეთი ამბები ტრიალებს. ზოგმა კი თქვა, რომ ეს ვერ გაკეთდებოდა, ამიტომ, არც კი ეცდებოდნენ. ნება მიბოძეთ, აგიხსნათ, რატომ გვაწუხებს ასე ძალიან ეს საკითხი. მაგრამ პირველ რიგში მინდა გითხრათ, რას არუკავშირდება ეს მცდელობა:

- ეს *არ* არის სახელწოდების შეცვლა.
- ეს *არ* არის ბრენდის შეცვლა.
- ეს *არ* არის ზედაპირული.
- ეს *არ* არის ახირება.
- და ეს *არ* არის უმნიშვნელო.

ეს *არის* შესწორება. ეს *არის* უფლის ბრძანება. ჯოზეფ სმითს არ დაურქმევია აღდგენილი ეკლესიასთვის სახელი; არც მორმონს. თავად მხსნელმა თქვა: „რამეთუ ასე დაერქმევა ჩემს ეკლესიას უკანასკნელ დღეებში - უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესია“.[4]

იქამდე, 34 წ. ჩვ. წ. ჩვენმა აღმდგარმა უფალმა მისცა მსგავსი მითითებები თავისი ეკლესიის წევრებს, როცა ეწვია ამერიკის კონტინენტს. მაშინ მან თქვა:

„დაარქმევთ ჩემს ეკლესიას ჩემს სახელს. . . .

„და როგორ იქნება ეს ჩემი ეკლესია, თუ მას არ დაერქმევა ჩემი სახელი? რადგან, თუ ეკლესიას დაარქმევენ მოსეს სახელს, ეს იქნება მოსეს ეკლესია; ან თუ მას უწოდებენ ადამიანის სახელს ეს იქნება ადამიანის ეკლესია; მაგრამ თუ მას ეწოდება ჩემი სახელი მაშინ ეს ჩემი ეკლესიაა“.[5]

ასე რომ, ეკლესიის სწორი სახელწოდება არ არის მოლაპარაკების საგანი. როცა მხსნელი ნათლად განაცხადებს ეკლესიის სახელწოდებას და მეტიც, იწყებს გაცხადებას სიტყვებით: „ასე რომ, ასე დაერქმევა ჩემს ეკლესიას“, - იგი არ ხუმრობს. და თუ ჩვენ მივცემთ ზედმეტი სახელის გამოყენების უფლებას ან თავად გამოვიყენებთ მას ან შევიტანთ ამაში ჩვენს წვლილს, ეს უფლის შეურაცხყოფა იქნება.

რა ფასი აქვს სახელწოდებას ან ამ შემთხვევაში, ზედმეტ სახელს? როცა ეს ეხება ეკლესიის ზედმეტ სახელს, როგორიცაა „LDS“, „მორმონთა ეკლესია“ ან

„უკანასკნელ დღეთა წმინდანთა ეკლესია“, ამ *სახელწოდებებში* ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ *გამოტოვებულია* მხსნელის სახელი. სატანას ძირითადი გამარჯვებაა ის, რომ უფლის ეკლესიას უფლის სახელი ჩამოაშორო. როცა ჩვენ მხსნელის სახელს *არაფრად ვაგდებთ,* ჩვენ ამით *უგულებელვყოფთ* ყველაფერს, რაც ქრისტემ გააკეთა ჩვენთვის - მის გამოსყიდვასაც კი.

შეხედათ ამას მისი თვალით: წინამიწიერ ცხოვრებამდე იგი იყო იეღოვა, ძველი აღთქმის ღმერთი. თავისი მამის ხელმძღვანელობით მან შექმნა ეს სამყარო და სხვა სამყაროები.[6] მან გააკეთა არჩევანი - დამორჩილებოდა მამის ნებას და გაეკეთებინა ისეთი რამ ღმერთის ყველა შვილისთვის, რასაც სხვა ვერავინ ვერ გააკეთებდა! მან დაგვდო პატივი და მოევლინა დედამიწაზე ხორციელად, მამის მხოლოდმობილ ძედ, მაგრამ მას სასტიკად შეურაცხყოფდნენ, დასცინოდნენ, აფურთხებდნენ და ამათრახებდნენ. გეთსიმანიის ბაღში ჩვენმა მხსნელმა აიღო საკუთარ თავზე *ყოველი* ტკივილი, *ყოველი* ცოდვა და *ყოველი* ტანჯვა, რომელიც *ოდესმე* გამოუცდია ვინმეს, ვინც ცხოვრობდა ან იცხოვრებს დედამიწაზე. ამ აუტანელი ტვირთის ქვეშ მას ყოველი ფორიდან სისხლი მოსდიოდა.[7] ყოველი ეს ტანჯვა კიდევ უფრო გამძაფრდა, როცა იგი სასტიკად ჯვარზე გააკრეს.

ამ აუტანელი გამოცდილების და შემდგომ აღდგომის მეშვეობით - უსაზღვრო გამოსყიდვით, მან ყველას უკვდავება აჩუქა და გამოისყიდა ყოველი ჩვენგანი ცოდვის შედეგისგან ჩვენი მხრიდან მონანიების პირობით.

მხსნელის აღდგომისა და მოციქულების სიკვდილის შემდეგ სამყარო სიბნელეში ჩაიძირა. შემდეგ, 1820 წ, მამაზეციერი და მისი ძე, იესო ქრისტე, მოევლინნენ წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითს, რათა უფლის ეკლესიის აღდგენა დაეწყო.

მას შემდეგ, რაც ამდენი გადაიტანა - მას შემდეგ, რაც ყველაფერი გააკეთა კაცობრიობისთვის, მე სინანულით ვხვდები იმას, რომ ჩვენ შეუმჩნევლად მივიღეთ ის, რომ უფლის აღდგენილ ეკლესიაში გვემახიან სხვადასხვა სახელებს, რომლებშიც არ ფიგურირებს იესო ქრისტეს წმინდა სახელი!

ყოველ კვირას, თუკი ღირსეულად ვიღებთ ზიარებას, ჩვენ ვდებთ ახალ წმინდა დაპირებას მამაზეციერთან, რომ მზად ვართ, ავიღოთ ჩვენს თავზე მისი ძის, იესო ქრისტეს, სახელი.[8] ჩვენ ვპირდებით, რომ მივყვებით მას, მოვინანიებთ, დავიცავთ მის მცნებებს და *ყოველთვის* გვემახსოვრება იგი.

როცა ჩვენ მისი ეკლესიის სახელწოდებიდან მის სახელს ამოვიღებთ, ჩვენ უნებურად აღარ აღვიქვამთ *მას* ცხოვრების ცენტრალურ ნაწილად.

მხსნელის სახელის აღება ჩვენ თავზე მოიცავს (ჩვენი ქმედებებისა და სიტყვების მეშვეობით) სხვებისადმი დამოწმებასა და განცხადებას: იესო არის ქრისტე. ყოფილა ისე, რომ როცა ვინმე „მორმონებს“ გვიწოდებდა, გვეშინოდა, რომ მათ *ვაწყენინებთ* და ამიტომ აღარ *დაგვიცავს* მხსნელი, იმ სახელის გამოც კი, რომელსაც მისი ეკლესია ატარებს?

თუ ჩვენ კოლექტიურად ან ინდივიდუალურად გვაქვს წვდომა იესო ქრისტეს გამოსყიდვაზე, რომელიც განგვწმენდს, გვკურნავს, გვაძლიერებს, განგვადიდებს და საბოლოოდ აგვამაღლებს, მაშინ ნათლად უნდა მივიღოთ იგი, როგორც ამ ძალის წყარო. ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ იმით, რომ ვუწოდოთ მის ეკლესიას სახელი, რომელიც მან განაცხადა.

მსოფლიოს უმეტესი ნაწილისთვის უფლის ეკლესია ამჟამად შენიღბულია, როგორც „მორმონთა ეკლესია“. მაგრამ ჩვენ, როგორც უფლის ეკლესიის წევრებმა, ვიცით, ვინ დგას მის სათავეში: თავად იესო ქრისტე. სამწუხაროდ მრავალთ, ვისაც ესმის ტერმინი *მორმონი,* შეიძლება იფიქროს, რომ ჩვენ თაყვანს ვცემთ მორმონს. ეს ასე არაა! ჩვენ პატივს ვცემთ ამ დიდ ამერიკელ წინასწარმეტყველს.[9] ჩვენ *არ* ვართ მორმონის მოწაფეები. ჩვენ უფლის მოწაფეები ვართ.

აღდგენილი ეკლესიის ადრეულ დღეებში ტერმინები *მორმონთა ეკლესია* და *მორმონები*[10] გამოიყენებოდა, როგორც ეპითეტები - სასტიკი, შეურაცმყოფელი ტერმინები - რომლებიც გათვლილი იყო იმაზე, რომ დაემალათ უფლის ხელი იესო ქრისტეს ეკლესიის აღდგენაში ამ უკანასკნელ დღეებში.[11]

დებო და ძმებო, უამრავი საერო კამათია ამ ეკლესიის სწორი სახელის აღდგენასთან დაკავშირებით. ჩვენ ვცხოვრობთ ციფრულ სამყაროში და ძიების საშუალებების მეშვეობით სწრაფად ვპოულობთ საჭირო ინფორმაციას, უფლის ეკლესიაზე ინფორმაციის ჩათვლით და კრიტიკოსები გვეუბნებიან, რომ ამ ეტაპზე შესწორება არ არის ბრძნული ნაბიჯი. სხვები ფიქრობენ, რომ რადგან ასე ფართოდ ვართ ცნობილნი, როგორც „მორმონები“ და „მორმონთა ეკლესია“ ჩვენ უნდა საუკეთესოდ გამოვიყენოთ ეს.

ეს რომ ყოფილიყო დისკუსია ადამინთა მიერ შექმნილ ორგანიზაციის ბრენდირებაზე, ეს არგუმენტები ალბათ გადაწონიდა. მაგრამ ამ უმნიშვნელოვანეს

საკითხში ჩვენ ვუმზერთ მას, ვისი ეკლესიაც არის ეს და ვაღიარებთ, რომ უფლის გზა არ არის და არც არასოდეს იქნება, ადამიანის გზა. თუ მოთმინებას გამოვიჩენთ და ჩვენს როლს შევასრულებთ, უფალი წაგვიძღვება ამ მნიშვნელოვან საკითხში. ბოლოსდაბოლოს ჩვენ ვიცით, რომ უფალი ეხმარება მათ, ვინც ემებს მისი ნების შესრულებას, ზუსტად როგორც იგი დაეხმარა ნეფის მის დავალებაში - აეშენებინა გემი ოკეანის გადასაკვეთად.[12]

ჩვენ გვინდა, ვიყოთ თავაზიანნი და მომთმენნი ჩვენს მცდელობებში, გამოვასწოროთ ეს შეცდომები. პასუხისმგებელი მედია გაგებით მოეკიდება ამ მოთხოვნას.

წინა გენერალურ კონფერენციაზე უხუცესმა ბენჯამინ დე ჰოიოსმა ისაუბრა მსგავს მოვლენაზე. მან თქვა:

„რამდენიმე წლის წინ, როცა ვმუშაობდი ეკლესიის საზოგადოებასთან ურთიერთობების ოფისში მექსიკამი, [მე და მეწყვილე] დაგვპატიჟეს რადიოში, თოქ შოუზე. . . . [პროგრამის ერთ-ერთმა დირექტორმა] გვკითხა: „რატომ აქვს ეკლესიას ასეთი გრძელი სახელწოდება?. . . .

„მე და ჩემს მეწყვილეს გაგვეღიმა ასეთი მნიშვნელოვანი შეკითხვის გამო და დავიწყეთ იმის ახსნა, რომ ეკლესიის სახელწოდება არ იყო შერჩეული ადამიანის მიერ. იგი მხსნელმა წარადგინა. . . . პროგრამის დირექტორმა იმწუთასვე, პატივისცემით, გვიპასუხა: „მაშინ ჩვენ გავიმეორებთ მას დიდი სიამოვნებით“.[13]

ეს შემთხვევა ჩვენთვის ნიმუშია. თითო-თითო ინდივიდუალური მცდელობით ჩვენ მოგვეთხოვება, გამოვასწოროთ შეცდომები, რომლებიც წლების განმავლობაში იქნა მიღებული.[14] მსოფლიოს მეორე ნახევარი ან შემოუერთდება და ან არა ჩვენს მცდელობას, მოგვმართონ სწორი სახელით. მაგრამ თუ მსოფლიო მეტ წილად მიმართავს ეკლესიას და მის წევრებს მცდარი სახელით და ჩვენც იმავეს ვიზამთ, არ იქნება გულწრფელი, თუ ამის გამო გავნაწყენდებით.

ჩვენი სტილის მიმანიშნებელი დაგვეხმარება. იქ წერია: „უპირატესობა ენიჭება ეკლესიის სრულ სახელწოდებას: უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესია.' როცა საჭიროა უფრო შემოკლებული [მეორე] ვერსია, მიზანშეწონილია 'ეკლესია' ან 'იესო ქრისტეს ეკლესია". 'იესო ქრისტეს აღდგენილი ეკლესია' ასევე ზუსტი და მისასალმებელი ტერმინია"[15]

თუ ვინმემ გკითხათ: „მორმონი ხარ"? თქვენ შეგიძლიათ უპასუხოთ: „თუ იმას მეკითხებით, ვარ თუ არა უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრი დიახ, ვარ"!

თუ ვინმე გკითხავთ" :უკანასკნელ დღეთა წმინდანი ხარ"?[16] შეგიძლიათ უპასუხოთ: „დიახ. მე მწამს იესო ქრისტე და მე მისი აღდგენილი ეკლეისიის წევრი ვარ".

ჩემო დებო და ძმებო, მე გპირდებით, რომ თუ ძალიან ვეცდებით, აღვადგინოთ უფლის ეკლესიის სწორი სახელი, ის, ვისი ეკლესიაც არის ეს, გადმოღვრის უკანასკნელ დღეთა წმინდანებზე თავის ძალასა და ისეთ კურთხევებს,[17] რომლის მსგავსიც არასოდეს გვინახავს. ჩვენ გვექნება ღმერთის ძალა და ცოდნა, რომელიც დაგვეხმარება იესო ქრისტეს აღდგენილი სახარების კურთხევების მიტანაში ყოველ ერთან, ტომთან, თემთან და ხალხთან და მოვამზადებთ სამყაროს უფლის მეორე მოსვლისთვის.

ასე რომ, რა არის სახელში? როცა საქმე ეხება უფლის ეკლესიის სახელს, პასუხია: „ყველაფერი"! იესო ქრისტემ მიგვითითა, გვეწოდებინა ეკლესიისთვის მისი სახელი, რადგან ეს მისი ეკლესიაა, მისი ძალით სავსე.

მე ვიცი, რომ ღმერთი ცოცხალია. იესო არის ქრისტე. იგი დღეს წინ უძღვის თავის ეკლესიას. მე ამას ვმოწმობ იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

მენიშვნები

1. „უფალმა მაცნობა გონებაში იმ სახელწოდების მნიშვნელობა, რომელიც მან გამოუცხადა თავის ეკლესიას, უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიას. ჩვენ წინ გველის მის ნებასთან ჰარმონიაში მოხვლის სამუშაო. ბოლო კვირების განმავლობაში ეკლესიის ხსვადასხვა წელმძღვანელებმა და განყოფილებებმა წამოიწყეს ამისთვის აუცილებელი ნაბიჯების გადადგმის ინიციატივა. დამატებითი ინფორმაცია ამ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით წელმისაწვდომი იქნება მომდევნო თვეებში" (რასელ მ. ნელსონი, „ეკლესიის სახელწოდება" [ოფიციალური განცხადება, 2018 წ. 16 აგვისტო], mormonnewsroom.org).
2. ეკლესიის წინამორბედი პრეზიდენტებიც გამოდიოდნენ მსგავსი თხოვნით. მაგალითად, პრეზიდენტმა ჯორჯ ალბერტ სმითმა თქვა: „ნუ განაწყენებთ უფალს და ნუ დაუმახვებთ მის ეკლესიას მორმონთა ეკლესიას. მან არ დაარქვა ეკლესიას მორმონთა ეკლესია" (in Conference Report, Apr. 1948, 160).
3. იხ. „სტილის მიმანიშნებელი - ეკლესიის სახელწოდება", mormonnewsroom.org.
4. მოძღვრება და აღთქმები 115:4.
5. 3 ნეფი 27:7-8
6. იხ. მოსე 1:33.
7. იხ. მოძღვრება და აღთქმები 19:18.
8. იხ. მორონი 4:3; მოძღვრება და აღთქმები 20:37, 77.
9. მორმონი იყო მორმონის წიგნის ოთხ მნიშვნელოვან ავტორთა შორის ერთ-ერთი. სამი სხვა იყო: ნეფი, იაკობი და მორონი. ყველანი იყვნენ უფლის თვითმხილველები, მისი მთგონებული მთარგმნელის, წინასწარმეტყველის ჯოზეფ სმითის ჩათვლით.
10. სიტყვა *მორმონიტებიც* კი გამოიყენებოდა დასაცინად (see *History of the Church,* 2:62–63, 126).
11. სხვა ეპითეტებიც გამოიყენებოდა ახალი აღთქმის დღეებში. პავლე მოციქულს, როდესაც იგი დააყენეს ფელიქსის წინამე, „ნაზორეველთა მწვალებლობის წინამძღოლი უწოდეს" (საქმეები 24:5). ფრაზა „ნაზარენები", როგორც ეს აღნიშნა ერთ-ერთმა კომენტატორმა, „გამოიყენებოდა ქრისტიანების დასამცირებლად". მათ ასე უწოდებდნენ იესოს გამო,

რომელიც ნაზარეთიდან იყო (ალბერტ ბარნსი, *Notes, Explanatory and Practical, on the Acts of the Apostles* [1937], 313).

ამის მსგავსად, მეორე კომენტატორი წერს: „რადგან ჩვენს უფალს ზიზღით ეძახდნენ 'ნაზარეველს' (მათე 26:71), იუდეველებიც მის მიმდევრებს ნაზარევლებს უწოდებდნენ. ისინი არ აღიარებდნენ, რომ ის ხალხი ქრისტიანები *ანუ* მესიას მოწაფენი იყვნენ"(*The Pulpit Commentary: The Acts of the Apostles,* ed. H. D. M. Spence and Joseph S. Exell [1884], 2:231).

იმავე თემაზე ისაუბრა უხუცესმა ნილ ა. მაქსველმა: „წმინდა წერილის ისტორიაში ვხედავთ ხშირ მცდელობებს, დაამცირონ წინასწარმეტყველები მათი უარყოფის მიზნით. ამისთვის მათ დამამცირებელ სახელს უწოდებდნენ. თუმცა, მეტ წილად, მათ იგნორირებდნენ როგორც თანამედროვეები ისე საერო ისტორია. ბოლოსდაბოლოს, ადრეულ ქრისტიანებს უწოდებდნენ 'ნაზარევლების სექტა' (Acts 24:5.)" ("Out of Obscurity," Nov. 1984, 10).

12. იხ. 1 ნეფი 18:1–2.
13. Benjamín De Hoyos, "Called to Be Saints," *Liahona,* May 2011, 106.
14. ჩვენ სხვებს ვერ გავუწევთ კონტროლს იმაზე, რას დაგვიძახებენ, მაგრამ საკუთარ თავზესრული კონტროლი გვაქვს. თუ ჩვენ, როგორც ეკლესიის წევრები, არ გამოვიყენებთ ეკლესიის სწორ სახელწოდებას, რატომ უნდა ველოდოთ ამას სხვებისგან?
15. „სტილის მიმანიშნებელი - ეკლესიის სახელწოდება,"mormonnewsroom.org.
16. ტერმინი *წმინდანი* ხშირად გამოიყენება ბიბლიაში. პავლე მოციქულის წერილში ეფესელებთან იგი იყენებს სიტყვას *წმინდანი* სულ მცირე ერთხელ ყოველ თავში. წმინდანი არის ადაიანი, რომელსაც სწამს იესო ქრისტე და ცდილობს, მიჰყვეს მას.
17. იხ. მოძღვრება და აღთქმები 121:33.

© 2018 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *First Presidency Message, November 2018*. Georgian. 15054 131